ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №541089

ნომერი: AR1107663

თარიღი : 06.02.2013

გაცემის თარიღი : 11.02.2013

გაცნობის თარიღი : 17.02.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აგლაძე , მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ვახუშტი ბაგრატიონის სახ. ხიდს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სპარტაკი ჩხიტუნიძე პ/ნ 38001007016
- საჩხერე ს. სპეთი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, ცეცხლმედეგი გამმიჯნავის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის, მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებულ შენობაზე ფანჯრის ღიობის რეკონსტრუქციისა და სარეკლამო აბრის მოწყობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, აგლაზის ქუჩა, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ვახუსტი ბაგრატიონის სახ. ხიდს. შორის, შ.პ.ს. "ტატა"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობაზე ფანჯრის ღიობის რეკონსტრუქციას და სარეკლამო აბრის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური".

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შ.პ.ს. "ტატა"–ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.13.05.010.001, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 892012085293 05.11.2012წ.; არსებული ფოტო და საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, აგლაზის ქუჩა, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ვახუსტი ბაგრატიონის სახ. ხიდს. შორის, შ.პ.ს. "ტატა"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობაზე ფანჯრის ღიობის რეკონსტრუქციისა და სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge